სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

კახაბერ ფიფია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.10

ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისტორიისათვის

აბსტრაქტი. გვიანანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ქართული წყაროები - ეგრისს, ხოლო რომაელი და ბიზანტიელი მწერლები - ლაზიკას უწოდებენ. თავდაპირველად ლაზები აკონტროლებდნენ კოლხეთის მხოლოდ ცენტრალურ ნაწილს ზიდრიტთა ოლქიდან მდ. ეგრისწყლამდე (თანამ. ღალიძგა). მოგვიანებით კი, ლაზების სამეფო აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავამდე ვრცელდება; ჩრდილოეთით კი მოიცავს თანამედროვე აფხაზეთსა და სვანეთს. როდის უნდა მომხდარიყო ლაზების ჰეგემონობის გავრცელება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთსა და სამხრეთით არსებულ ზიდრიტთა ოლქზე? წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით სწორედ ამ კითხვებზე გავცეთ პასუხი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ ორი თვალსაზრისი არსებობს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთიანი ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბება ხდება IV ს. ბოლოსთვის, სხვების ვარაუდით კი, II საუკუნეში. ჩვენი აზრით, ლაზების მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ანუ უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთით არსებული სანიგებისა და სამხრეთით არსებული ზიდრიტთა ოლქის შემოერთება განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ლაზებმა რომაელთა თანხმობით შემოიერთეს აფსილების, აბაზგებისა და სანიგების გაერთიანებები და ლაზთა სამეფოს საზღვრები ჩრდილო-დასავლეთით განავრცეს მდ. აქეუნტამდე (თანამ. შახე). ამ

[1] **კახა ფიფია**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მოვლენას ადგილი ჰქონდა II ს. შუახანებში, მეფე პაკორის მმართველობის პერიოდში, რასაც პირდაპირ მოწმობს გაგრის რაიონის სოფელ აჩმარდის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვერცხლის თასზე შესრულებული ბერძნული წარწერა. II საუკუნეში ლაზთა სამეფო დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს რომ აერთიანებს, მოწმობს შემდეგი ფაქტიც: II ს. მიწურულს, როდესაც იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსს (193-211 წწ.) მოუხდა აჯანყებული ლაზების დამორჩილება, გიორგი სინგელოზის ცნობით, მან ,,დაიპყრო კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე". ანუ ამ დროისათვის ლაზების ჰეგემონობა უკვე თითქმის მთელ კოლხეთზე ვრცელდებოდა.

რაც შეეხება სამხრეთით არსებულ ზიდრიტთა ოლქს, ამ მიმართულებით ლაზების ექსპანსია II საუკუნეში გამორიცხული იყო, რამდენადაც ეს რაიონი ძლიერი იბერიის სამეფოს დაქვემდებარებაში იყო მოქცეული. ზიდრიტთა ოლქის შემოერთება ლაზეთის სამეფომ მოგვიანებით, მხოლოდ III ს. შუა ხანებში მოახერხა, როდესაც რეგიონში შეცვლილი გეოპოლიტიკური კონიუქტურის პირობებში იბერია იძულებული გახდა დაეცალა შავი ზღვის სანაპიროს აღნიშნული სექტორი.

საკვანძო სიტყვები: ეგრისის (ლაზიკის) სამეფო, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, კოლხები, რომი, აბაზგები და აფსილები, ეგრისის გაერთიანება.

Kakhaber Pipia[2]
Sokhumi State University

For the History of Lazica (Egrisi) Kingdom

In the Antiquity, a political Union was formed on the territory of historical Colchis in the Eastern Black Sea region. In Georgian sources it is mentioned as Egrisi, while Roman and Byzantine writers call it lazica. At first the Lazes controlled only the Central part of Colchis from Zydriti District to the Egristskali river. Later the kingdom of Lazes unites the whole Western Georgia. Its territory extends to the confuence of the Chorokhi river in the South. In the North it includes modern Abkhazia and Svaneti. When should the hegemony of the Lazes be spread to the northwestern Colchis and the Zydrit district in the south? In this work we will try to answer these questions.

In Georgian historiography there are two points of view about the formation of the United kingdom of Egrisi on the territory of Western Georgia. Some researchers believe that the formation of the United Kingdom of Egrisi took place at the end of the fourth century, according to other scholars in the second century. At

[2] **Kakha Pipia**, Doctor of History, Associate Professor at Sokhumi State University.

first, the Lazes, with the consent of the Romans, joined the Unions of the Absiles, Abazges and Saniges and extended the boarders of the kingdom of the Lazes to the north-west to the Akheunt river (modern Shakhe river). This event took place in the middle of the second century during the reign of king Pakor, which is directly evidensed by the Greek inscription on a silver cup found on the territory of the village of Achmarda, Gagra district. The fact that the kingdom of lazes of the second century united a large part of Western Georgia is also proved by the following fact: At the end of the second century, when the emperor Septimius Severus (193-211) had to subdue the rebellious Lazes, according to George Syncellus, he captured ,,Colkhike, that is Lazike." For this period, the hegemony of the Lazes is already extending to almost the entire Colchis region.

As for the district of Zidrits in the south, the expansion of the Lazes in this direction was subordinated to the powerful Iberian kingdom. The Lazica kingdom managed to annex the Zidrits district only later, in the third century.

Keywords: Kingdom of Egrisi (Lazici), Eastern Black Sea coast, Colchis, Rome, Abazgi and Apsili, Unification of Egrisi.

შესავალი. გვიანანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა პოლიტიკურ გაერთიანება, რომელსაც ქართული წყაროები - ეგრისს, ხოლო რომაელი და ბიზანტიელი მწერლები - ლაზიკას უწოდებენ. გარკვეულ პერიოდში ლაზების სამეფო აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავამდე ვრცელდება, ჩრდილოეთით კი მოიცავს თანამედროვე აფხაზეთსა და სვანეთს. ლაზეთის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერების ხანა არის მე-4 საუკუნის ბოლო (ლომოური, 1968: 72). ბიზანტიელი ავტორების ცნობით, გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში ლაზები წამყვან ძალას წარმოადგენენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და ძველი კოლხების მემკვიდრეებად გამოდიან (Joann. Lydus, De magistr., III, 34; Agath., II, 18; III, 5).

როდის და რა პირობებში უნდა მომხდარიყო ლაზების ჰეგემონობის გავრცელება მთელ დასავლეთ საქართველოზე, რა გარემოებებმა შეუწყო ხელი მის აღმავლობასა და ტერიტორიულ გაფართოებას და როგორი იყო ამ სამეფოს განვითარების ძირითადი ტენდენციები II-III საუკუნეებში? წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით სწორედ ამ კითხვებზე გავცეთ პასუხი და ვაჩვენოთ ის ობიექტური ისტორიული რეალობა, რამაც განაპირობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ლაზეთის სახელმწიფოს შექმნა.

ცნობილია, რომ ახ. წ. II ს. დასაწყისში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებები. მათ შორის

ერთ-ერთი იყო ლაზთა გაერთიანება. ლაზებს ეჭირათ ცენტრალური კოლხეთის ნაწილი მდ. რიონის ორივე მხარეს. აღმოსავლეთით მათი საზღვარი იბერიის სამეფოსთან დაახლოებით სკანდა-შორაპნის ხაზზე გადიოდა (ломоури, 1968: 30-31; Меликишвили, 1959: 351-357). ამ დროისათვის ლაზთა გაერთიანების ჩრდილოეთ საზღვარი ვრცელდებოდა მხოლოდ მდ. ეგრისწყლამდე (თანამ. ღალიძგა), ხოლო სამხრეთით იბერიის კონტროლქვეშ მყოფ ზიდრიტთა ოლქამდე (დაახლ. თანამედრ. აჭარა-ქობულეთის მხარე) (Ломоури, 1997: 18; მუსხელიშვილი, 1977: 106-113; მუსხელიშვილი, 2003: 108). ისტორიული კოლხეთის დანარჩენი ნაწილი ეჭირა აფსილების, აბაზგებისა და სანიგების გაერთიანებებს (ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში), ხოლო უკიდურესი სამხრეთით მდებარეობდა მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო (Arr., PPE, 11). ამ უკანასკნელს ეჭირა თანამედროვე ჭანეთის ნაწილი ცენტრით დაახლ. ქ. ათინასთან (ფიფია, 2001: 49-50). ასეთი იყო სიტუაცია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში 131 წ. ფლავიუს არიანეს მოგზაურობის დროისათვის.

აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებების ფორმირება მოხდა ახ. წ. II ს. დასაწყისში, როცა იმპერატორმა ტრაიანემ (98-117 წწ.) დიდი აღმოსავლური ლაშქრობისათვის მზადების პერიოდში ცალკეულ, წვრილ-წვრილ ,,სკეპტუხიებად“ დანაწევრებულ კოლხეთში რომის პოზიციების განმტკიცების მიზნით სცადა უფრო დიდი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა. ამ მიზნით ტრაიანე რომთან უფრო დაახლოებულ ტერიტორიულ-ტომობრივ გაერთიანებათა მეთაურებს აძლევს ფორმალურ დამოუკიდებლობას, „სამეფო ხელისუფლებას“ და მათი მეშვეობით ცდილობს კოლხეთის გაკონტროლებას. რომაელთა სანქციით ზღვისპირა ზოლში მცხოვრები ლაზები იმორჩილებენ ქვეყნის შიდა რაიონებში არსებულ ეგრებისა და მანრალების ,,სკეპტუხიებს“. ასე შეიქმნა 106-114 წწ. ლაზეთის სამეფო, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა საკუთრივ ლაზების, ეგრებისა და მანრალების ,,სკეპტუხიათა“ გაერთიანებას (ფიფია, 2012: 42-49). ამას გარკვეულწილად მოწმობს კლავდიუს პტოლემაიოსისა (Cl. Ptol., Geogr., V,9, 5) და ,,სომხური გეოგრაფიის“ ცნობები (ფიფია, 2012: 44-48).

როგორც აღვნიშნეთ, ლაზთა სამეფო თავდაპირველად მოიცავდა ტერიტორიას ზიდრიტთა ოლქიდან მდ. ეგრისწყლამდე, მოგვიანებით კი, მისი საზღვრები ფართოვდება და მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ჩათვლით. როდის უნდა მომხდარიყო ლაზთა ჰეგემონობის გავრცელება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ აფსილების, აბაზგებისა და სანიგების გაერთიანებებზე და სამხრეთით მდებარე ზიდრიტთა ოლქზე?

დისკუსია. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს

მეთაურობით მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების დროის შესახებ ორი თვალსაზრისი არსებობს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთიანი დასავლურ-ქართული სამეფოს ჩამოყალიბება, ანუ ლაზების ჰეგემონიის გავრცელება გაგრა-ბიჭვინთის სექტორიდან მდ. ჭოროხის შესართავამდე, ხდება IV ს. ბოლოსათვის (ლომოური, 1968: 38-72; Ломоури, 1981: 274-279), სხვების ვარაუდით კი, II საუკუნეში. მაგ., გ. მელიქიშვილის აზრით, სწორედ II ს. უნდა მომხდარიყო გააფთრებული შეტაკებები დასავლეთ საქართველოს ცალკეულ გაერთიანებებს შორის, რაც ლაზთა სამეფოს დაწინაურებით დასრულდა (მელიქიშვილი, 1970: 552; Меликишвили, 1959: 379). დ. მუსხელიშვილი კი მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის ლაზიკის სამეფო უკვე მოიცავდა თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს (მუსხელიშვილი, 1977: 86-87). მაგრამ, ეს უკანასკნელი მოსაზრება, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ვარაუდი იყო და ამის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვებოდა. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე უკვე შესაძლებელია ლაზთა საზღვრების ჩრდილო-დასავლეთით გაფართოების კონკრეტული დროის დადგენა და ამ ისტორიული ფაქტთან დაკავშირებული გარკვეული პერიპეტიების მეცნიერული რეკონსტრუქცია.

2005 წელს გაგრის რაიონის სოფ. აჩმარდის ტერიტორიაზე გათხრილი ანტიკური სამარხის ინვენტარში აღმოჩნდა ვერცხლის თასი ბერძნული წარწერით: Ἐγὼ Πάκουρος ὁ βασιλεὺς τοῖς ἁ|μνοῖς ἔδωκα -,,მე, მეფე პაკორმა, ვუბოძე [ჩემს] ცხვრებს". წარწერას ასეთი ფორმულირებით პირდაპირი ანალოგიები არ გააჩნია ბერძნულ ეპიგრაფიკაში. როგორც ჩანს, ის აღმოსავლური წარმოშობისაა და ასახავს მეფის ქვეშევრდომებთან დამოკიდებულების მოდელს: მეფე მწყემსია, ქვეშევრდომები კი ცხვრები (Виноградов, 2013:55-56; დუნდუა, 2017: 119-124).

ეჭვგარეშეა, რომ აჩმარდის წარწერაში მოხსენიებული პაკორი ლაზთა მეფეა. ეს ის პაკორია, რომელიც იულიუს კაპიტოლინუსის ცნობით, იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა (138-161 წწ.) ,,მეფედ მისცა ლაზებს" (Jull. Capit., Anton. Pius, IX, 6-9). ჩვენ გვქონდა საშუალება საგანგებოდ შეგვესწავლა იულიუს კაპიტოლინუსის ეს ცნობა და გამოვთქვით მოსაზრება, რომ ანტონინუს პიუსის მიერ პაკორისათვის ძალაუფლების გადაცემა უნდა მომხდარიყო 141-144 წლებს შორის (ფიფია, 2002: 17-24).

ამდენად, მეფე პაკორი, რომლის ძალაუფლებაც ტახტზე ასვლისას მხოლოდ მდ. ღალიძგამდე ვრცელდებოდა, დროის მოკლე მონაკვეთში უკვე მდ. ბზიფის დასავლეთით მცხოვრებ ტომებს თავის ,,ცხვრებად'' ანუ ქვეშევრდომებად მიიჩნევს. ფლავიუს არიანეს ცნობით, მდ. ღალიძგიდან სებასტო-

პოლისამდე განსახლებული იყვნენ აფსილები და აბაზგები, სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე (თანამ. მდ. შახე) ტერიტორია კი, სანიგთა ,,სამეფოს" კონტროლქვეშ იყო მოქცეული (Arrian., PPE, 11, 18; კეჭაღმაძე, 1961: 79, 81-82, შენ. 62). ასე რომ, ამ პერიოდისათვის აჩმარდის სამაროვნის ტერიტორია სანიგთა განსახლების არეალში შედიოდა. ამდენად, შექმნილი სურათი ნათელია: მეფე პაკორმა თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა აფსილები, აბაზგები, სანიგები და საფუძველი ჩაუყარა ძლიერ დასავლურ-ქართულ გაერთიანებას, რომლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გადაჭიმული იყო მდ. აქეუნტამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლაზების მიერ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთზე ჰეგემონიის გავრცელება, ვფიქრობთ, მოხდა ანტონინუს პიუსის სანქციით. ამას პირდაპირ მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდისათვის სებასტოპოლისში იდგა საკმაოდ ძლიერი რომაული გარნიზონი 200-300 მეომრის შემადგენლობით (ფიფია, 2005: 145-149). ბუნებრივია, რომაელების ნებართვის გარეშე, პაკორი ვერ შეძლებდა სებასტოპოლისის კონტროლქვეშ მოქცეულ სანიგთა გაერთიანებაზე თავისი ძალაუფლების გავრცელებას. უფრო მეტიც, თუ არიანეს მოგზაურობის დროისათვის რომაელთა ბატონობის უკიდურესი პუნქტი იყო სებასტოპოლისი და აქ მთავრდებოდა რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარχვენა მხარეს მცურავთათვის (Arr., PPE, 17), ანტონინუს პიუსის მმართველობისას რომაულმა საზღვარმა გადაიწია ჩრდილო-დასავლეთისკენ და ლეგიონური სამხედრო ნაწილები შეყვანილ იქნა პიტიუნტშიც. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 152 წელს აქ უკვე იდგა რომაული გარნიზონი (Speidel…, 1988: 56-58). აშკარაა, რომ რომაული χარების გადაადგილება ჩრდილო-დასავლეთით და ლაზთა ჰეგემონიის გავრცელება ამ მიმართულებით იყო საერთო პროცესის ორი მდგენელი და რომაული სამხედრო ნაწილების შეყვანას პიტიუნტში მოყვა ლაზთა მეფის ძალაუფლების გავრცელება აფსილების, აბაზგებისა და სანიგების გაერთიანებებზე.

ასე რომ, რომაელთა ნება-სურვილით დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის გაერთიანება მოხდა ლაზეთის სამეფოს გარშემო. აქ ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: რას ეფუძნებოდა რომაელთა არჩევანი და მაინცდამაინც ლაზების მეფეს რატომ დაეკისრა ეს მისია, და არა დავუშვათ, მაკრონ-ჰენიოხთა მეფეს, რომელსაც ასევე ჰქონდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პირველობის პრეტენზია?

ახ. წ. II ს. მოვლენათა განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდისათვის რომისათვის ხელსაყრელი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილის ერთი, მთლიანად რომზე

დამოკიდებული მმართველის ხელით გაკონტროლება. ასეთ მმართველებად, პირველ რიგში, ალბათ სწორედ მაკრონ-ჰენიოხთა და ლაზთა მეფეები მოიაზრებოდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანება ლაზებზე ძლიერიც კი ჩანს, ის საკმაოდ პოპულარულია ანტიკურ მწერლობაში, მას კარგად იცნობენ რომაელები, უფრო მეტიც, მაკრონებ-ჰენიოხები გამოირჩეოდნენ რომისადმი ერთგულებით (ფიფია, 2001: 55-67) და ლაზებზე მეტადაც კი ჩანან რომის აღმოსავლურ ბატალიებში (Dio Cass., LXVIII, 19, 2; LXXI, 14, 2), რომაელთა არჩევანი მაინც ლაზების სამეფოზე შეჩერდა. რომისთვის შესაძლოა უფრო ხელსაყრელიც კი იყო მათი უშუალო მეზობლისა და ერთგული მოკავშირის, მაკრონ-ჰენიოხთა მიერ დანარჩენი კოლხეთის გაკონტროლება, მაგრამ იმპერიის პოლიტიკურ სქემაში მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო გარკვეული მიზეზების გამო მაინც ვერ ჩაჯდა. ვფიქრობთ, ეს განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: მაკრონ-ჰენიოხთა ,,სამეფოს" ერთ მხარეს ესაზღვრებოდა რომი, მეორე მხარეს არმენია, ჩრდილოეთიდან კი, ზიდრიტთა ოლქში დამკვიდრებული ასევე ძლიერი იბერია. ამდენად, მას ამ პერიოდისთვის არ ქონდა ჩრდილოეთისაკენ ტერიტორიული გაფართოების შანსი. კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში მაკრონ-ჰენიოხებს არ შეეძლოთ იბერიის ზღვისპირეთიდან გაძევება და შესაბამისად, არ ქონდათ წვდომა კოლხეთის დანარჩენ პოლიტიკურ გაერთიანებათა ტერიტორიებზე. იბერიის წინააღმდეგ მაკრონ-ჰენიოხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ გამოსვლა, თუ ექნებოდათ რომის თანხმობა და რეალურ სამხედრო დახმარებასაც მიიღებდნენ იმპერიისაგან. თუმცა, ამ პერიოდისათვის რომის პოლიტიკა არ ითვალისწინებდა კავკასიაში მოვლენათა ესკალაციას. პირიქით, ანტონინუს პიუსი იბერიის მეფესთან მეგობრობს და ცნობილი ეპიზოდი ფარსმანის რომში სტუმრობისა ამას ადასტურებს კიდეც. ასე რომ, მაკრონ-ჰენიოხთა ექსპანსია ჩრდილოეთის მიმართულებით, პირველ რიგში, თუნდაც იბერიის ფაქტორის გამო, გამოირიცხა. თუმცა, გასათვალისწინებელი იყო იგივე ლაზეთის ფაქტორიც. მაკრონ-ჰენიოხთა ეგიდით დასავლეთ საქართველოს გაერთიანება თავისთავად გულისხმობდა მაკრონ-ჰენიოხების დაპირისპირებას ჯერ იბერიის სამეფოსთან, შემდეგ კი ასევე ძლიერ ლაზთა გაერთიანებასთან; ამ ორი მძლავრი ბარიერის დაძლევის შემდეგ კი, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთისაკენ გაჭრას, რაც პერსპექტივაში, ცხადია, განუხორციელებელი იყო და მაკრონ-ჰენიოხებს ამის რესურსი არ გააჩნდათ. ასე რომ, ბუნებრივია, რომაელებს კარგად ექნებოდათ გათვლილი ის შედეგები, რასაც გამოიწვევდა მაკრონ-ჰენიოხებზე ფსონის დადება. მათთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მაკრონ-ჰენიოხთა

ექსპანსია ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ სიტუაციას არევდა და იმპერიას პრობლემების მეტს არას მოუტანდა.

რაც შეეხება ლაზებს, მათ მაკრონ-ჰენიოხებისაგან განსხვავებით ის უპირატესობა ქონდათ, რომ ეჭირათ კოლხეთის ცენტრალური ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთიდან კი მათ ემეზობლებოდა ჯერ აფსილების, შემდეგ კი აბაზგთა სუსტი გაერთიანებები (Arrian., PPE, 11) და ამ მიმართულებით ლაზთა ექსპანსია დიდ წინააღმდეგობას არ შეხვდებოდა. ლაზთა სამეფოს საზღვრების ჩრდილო-დასავლეთით გადაწევა და აფსილ-აბაზგთა ტერიტორიების შემოერთება არ არღვევდა სტატუს-კვოს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველაზე პრობლემატურ - იბერია/ზიდრიტთა მონაკვეთზეც და შესაბამისად, იბერიისა და მისგან კიდევ უფრო სამხრეთით არსებული მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს გაღიზიანებას არ გამოიწვევდა. რაც შეეხება რომს, როგორც უკვე აღინიშნა, ის დაინტერესებული იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცალკეული, წვრილ-წვრილ გაერთიანებათა გამსხვილებით, შესაბამისად, ლაზთა ექსპანსია ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ხობოსის გადაღმა ტერიტორიების ერთი მმართველის ხელით გაკონტროლება მისთვის ხელსაყრელი იყო. გარდა ამისა, ლაზეთის სამეფოს გაძლიერება რომს სჭირ-დებოდა კოლხეთის სანაპიროზე შეჭრილი იბერიის წინააღმდეგაც. ბუნებრივია, კოლხეთის ზღვისპირეთში ფეხმოკიდებულ იბერიას ექნებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიების შემოერთების სურვილიც, რაც არ ჯდებოდა რომის ინტერესებში. იბერიის მხრიდან საფრთხე რომ რეალური იყო, ამას მოწმობს 127-129 წწ. აფსაროსისა და ფასისის ციხეების მოდერნიზაცია, რომლის შესახებაც არიანე დაწვრილებით უყვება იმპერატორ ადრიანეს (ფიფია, 2005: 113-115). ასეთ ვითარებაში ლაზეთის სამეფოსა და რომის ინტერესები კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. ლაზეთის მმართველი წრეებისათვის მეზობელი იბერიის გაძლიერება-გააგრესიულების პირობებში აუცილებელი იყო რომის მხარდაჭერა და თავის მხრივ იმპერიისთვისაც ხელსაყრელი იყო მის ხელდებულ ტერიტორიაზე, ზიდრიტთა ოლქში შეჭრილი და შემდგომი ტერიტორიული გაფართოებისაკენ კონცენტრირებული იბერიის შეკავება თავდაცვისუნარიანი ლაზეთის „სამეფოს“ მეშვეობით, რომლის „მეფესაც“ ფაზისში დისლოცირებულ რომაულ გარნიზონებთან კავშირში შეეძლო წინ აღდგომოდა იბერიის აგრესიულ პოლიტიკას შავიზღვისპირეთში. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ფარსმანის მიერ ზიდრიტთა ოლქის მიტაცება მიუღებელი იყო როგორც რომისათვის, ასევე ლაზთა გაერთიანებისათვის და ორივე დაინტერესებული იყო მაქსიმალურად შეეზღუდათ იბერიის შემდგომი ტერიტორიული გაფართოება კოლხეთის სანაპირო სექტორში.

ასე რომ, ანტონინუს პიუსს, მიუხედავად იბერიასთან მეგობრული ურთიერთობებისა, აუცილებლად სჭირდებოდა პერსპექტივაში იბერიის ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაფართოების პრევენცია. ამის გამორიცხვა კი შესაძლებელი იყო ძლიერი ლაზეთის სამეფოს შექმნით, რომლისთვისაც შექმნილ სიტუაციაში რომი იყო ბუნებრივი მოკავშირე.

ასეთი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილი პოლიტიკური კონიუქტურა, როცა ასპარეზზე გამოვიდა მეფე პაკორი. იგი მოხერხებულად იყენებს რომის ინტერესებს რეგიონში, ითვალისწინებს იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის პრიორიტეტებს და იწყებს დასავლურ-ქართული ოლქების შემოკრებას ლაზეთის გარშემო. ვფიქრობთ, პაკორმა თავდაპირველად დაიმორჩილა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში არსებული აფსილებისა და აბაზგების გაერთიანებები, რაც შეეხება სანიგთა გაერთიანებას, ის სხვა გაერთიანებებზე შედარებით ძლიერი იყო და მასზე ლაზთა ჰეგემონიის გავრცელება მოხდა მას შემდეგ, რაც პიტიუნტში ჩაყენებულ იქნა რომაული გარნიზონი.

ასე რომ, ახ. წ. II ს. შუა ხანებისათვის ლაზთა მეფე პაკორი საფუძველს უყრის ერთიან სახელმწიფოს, რომლის საზღვრებშიც შედიოდა ისტორიული კოლხეთის მიწა-წყლის დიდი ნაწილი ზიდრიტთა ოლქიდან გაგრა-ბიჭვინთის სექტორის ჩათვლით. რაც შეეხება სამხრეთით არსებულ ზიდრიტთა ოლქს, ამ მიმართულებით ლაზების ექსპანსიას, ვფიქრობთ, II საუკუნეში ადგილი არ უნდა ჰქონოდა, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, ეს რაიონი ძლიერი იბერიის სამეფოს დაქვემდებარებაში იყო მოქცეული. მართალია, ჩვენ პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია, თუ რა სიტუაცია იყო საზღვრის ამ მონაკვეთზე II ს. მეორე ნახევარში, მაგრამ სტატუს-კვოს ცვლილებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, რამდენადაც ფარსმან II-ის შემდგომ პერიოდშიც, ხსეფარნუგის მეფობისას იბერია განაგრძობდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას და აწარმოებდა წარმატებულ ომებს. ამას გარკვეულწილად მოწმობს ის ფაქტი, რომ სერაფიტის წარწერაში, ხსეფარნუგის „ეზოს მოძღვარი" იოდმანგანი „ძლევამოსილად და მრავალი გამარჯვების მომპოვებლად", ხოლო თვით ხსეფარნუგი - „დიდი მეფის", იბერიის მეფეთა ტრადიციული ტიტულით იხსენიება (წერეთელი, 1942: 14-17). ასეთ ვითარებაში, ლაზების მიერ იბერიის სამეფოსათვის ზიდრიტთა ოლქის წართმევა ძნელი წარმოსადგენია.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხსაც. ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ ლაზთა სამეფოს შექმნა და მისი შემდგომი ტერიტორიული გაფართოება მოხდა რომაელთა სანქციით და ეს პროცესი აბსოლუტურად თანხვედრაში იყო იმ პერიოდის რომის აღმოსავლურ პოლიტიკასთან. თუმცა, საინტერესოა, როგორი იყო ადგილობრივი მოსახლეობის როლი მთელ ამ პრო-

ცესებში, არსებობდა აქ ქვეყნის გაერთიანებითა და ცენტრალური ხელისუფ-ლების აღდგენით დაინტერესებული ძალები თუ მოვლენები მხოლოდ რო-მაელთა კარნახით ვითარდებოდა? ჩვენთვის საინტერესო ისტორიული პრო-ცესის უკეთ გააზრებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ამ კითხვებზე პასუხის გაცე-მა და II ს. პირველ ნახევარში კოლხეთში მიმდინარე პროცესების კომპლექ-სური გააზრება ანტონინუსთა აღმოსავლური პოლიტიკის ჭრილში.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რომაელთა თანხმობით ლაზთა ჰეგემო-ნიის გავრცელება კოლხეთზე, იმას არ ნიშნავს, რომ ლაზთა სამეფო წარმოა-დგენდა რომაული პოლიტიკის მხოლოდ ობიექტს და იგი რომაელთა ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელი იყო. დასავლეთ საქართველოში ერთი-ანი ლაზეთის სახელმწიფოს შექმნა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა რომის აღმოსავლური პოლიტიკის თვითმიზანს, არამედ ეს იყო რეგიონში შექმნილი პოლიტიკური რეალობის საღი გააზრების შედეგი. ამასთან, ანტონინუს პიუ-სის დროს კოლხეთის დიდ ნაწილზე ლაზთა ჰეგემონიის გავრცელება იყო არა სპონტანური პოლიტიკური აქტი, არამედ იმ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგი, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ტრაიანეს დროს, II ს. დასაწ-ყისში. ბუნებრივია, რომისთვის ოპტიმალური ვარიანტი იყო დასავლეთ სა-ქართველო ისევე, როგორც ახ. წ. I ს. 60-90-იან წლებში, ყოფილიყო პროვინ-ცია კაპადოკიის პონტოს ნაწილი და იგი ემართა კაპადოკიის პროკონსულის ხელით, მაგრამ ამ პოლიტიკამ ვერ გაამართლა. რომმა ვერ შეძლო ადგილო-ბრივი ძალების ცენტრიდანული ტენდენციების ალაგმვა და კოლხეთი ცალ-კეულ ,,სკეპტუხიებად“ დაიშალა (ფიფია, 2012: 42-48). ამ „სკეპტუხიათა“ ურთიერთდაპირისპირების პროცესში კი, რომმა ახ. წ. I ს. მიწურულის ფაქ-ტობრივად დაკარგა გავლენა რეგიონზე. იმპერატორმა ტრაიანემ, დიდი აღ-მოსავლური ლაშქრობისათვის მზადების პერიოდში, სცადა კოლხეთზე კვლავ სრული კონტროლის დამყარება. ამისათვის რომი ამჯობინებს დაე-ყრდნოს ადგილობრივ ძალებს, შედარებით ძლიერი ტომობრივი ჯგუფების მმართველებს, რომლებიც იმპერიის დახმარებით შეკრებენ, გააერთიანებენ ცალკეულ ,,სკეპტუხიებს“ და უზრუნველყოფენ მათ მორჩილებას რომისად-მი. ერთი სიტყვით, ცალკეულ ,,სკეპტუხიებად“ დანაწილებულ ქვეყანაში რო-მი ცდილობს უფრო დიდი ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირებას, რომლებსაც მეტნაკლებად მტკიცედ შეკრული ორგანიზაციის ფორმის მი-საცემად გარკვეული დროიდან უნიშნავს ,,მეფეებს“, ალბათ, იმ ,,სკეპტუხთა“ რიგებიდან, რომლებიც გამოდიოდნენ იმპერიის ინტერესების დამცველად რეგიონში. რომაელთა მიერ დანიშნულ „მეფეებ“ უკეთ შეეძლოთ ადგილებ-ზე წესრიგის დამყარება, საკაბოტაჟო ნავიგაციისა და ვაჭრობის უსაფრთხო-ების დაცვა, ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილების უზრუნველყოფა და

რაც მთავარია, ,,მეოტიდა-კოლხეთის“ მაგისტრალისა და ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელების გაკონტროლება. ამდენად, რომის მიერ მთლიანად მართვად ,,მეფეებს,“ წინამორბედ ,,სკეპტუხებთან“ შედარებით, უფრო ეფექტურად შეეძლოთ რომის გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიფია, 2012: 57-65).

ამდენად, ტრაიანეს მიერ დაწყებული წვრილ-წვრილ ,,სკეპტუხიათა“ ,,სამეფოებად“ გამსხვილების პროცესი ობიექტურად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომის გავლენის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. თუმცა, ეს იყო ისტორიული პროცესის მხოლოდ ერთი მხარე. მეორე მხრივ, ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობივი ტრადიციების მქონე კოლხეთში ბუნებრივია არსებობდნენ ქვეყნის გაერთიანების მოსურნე ძალები, რომლებიც იბრძოდნენ ძველი კოლხეთის დიდების დასაბრუნებლად და ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. ამ ძალების სათავეში, როგორც ჩანს, იმთავითვე ლაზები იდგნენ, რომლებიც, შესაძლოა, უკვე მაშინ მიიჩნევდნენ თავს ძველი კოლხების მემკვიდრეებად და ,,ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით“ (Agath., III, 5). როგორც ჩანს, ეს ძალები ქვეყნის გაერთიანებისათვის და კოლხეთში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში რომის კეთილგანწყობა-მფარველობას ეძიებდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ დასახული პოლიტიკური მიზნების განხორციელება რომის ნების საწინააღმდეგოდ ვერ მოხდებოდა. ახ. წ. II ს. დასაწყისისთვის რეგიონში შექმნილ გეოპოლიტიკურ რეალობაში მოხდა ქვეყნის გაერთიანებით დაინტერესებული ძალებისა და რომის ინტერესების თანხვედრა. ასე რომ, ტრაიანეს მიერ განხორციელებული პოლიტიკური აქტი - ადგილობრივ მმართველთათვის ,,სამეფო ხელისუფლების“ გადაცემა, რომაელებისათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე ძალაუფლების შენარჩუნების ერთგვარი მექანიზმი, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივი ძალებისათვის ანგარიშის გაწევა იყო. კოლხეთის ცალკეული ტერიტორიული ერთეულების უფრო მსხვილ ,,სამეფოებად“ ინტეგრაციის პოლიტიკა, გაგრძელდა ტრაიანეს შემდგომაც და, როგორც ვნახეთ, სწორედ ამ პოლიტიკის შედეგი იყო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ლაზთა სამეფოს ეგიდით. აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: ლაზთა გაერთიანების დაწინაურების ერთ-ერთი მიზეზი მისი სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობაც იყო. მდ. რიონის ორივე ნაპირზე მდებარე ლაზთა სამეფოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე განვითარებული იყო მიწათმოქმედება და სამეურნეო თვალსაზრისით ეს რაიონი ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც დასავლეთ საქართველოში წამყვან ოლქად ჩანს (ლომოური, 1968: 76-77).

ამდენად, მიგვაჩნია, რომ რომმა გაითვალისწინა რა რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური რეალობა, მიზანშეწონილად ჩათვალა ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ვრცელი პოლიტიკური ერთეულის შექმნა ლაზთა სამეფოს ეგიდით. ამით მან ადგილობრივი, სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოსურნე ძალების გულიც მოიგო, ფაქტობრივად გამორიცხა იბერიის შემდგომი ტერიტორიული ზრდა შავიზღვისპირეთში და ცალკეული ,,მეფეების“ ნაცვლად კოლხეთის შიდა საქმეები ჩააბარა პრორომაულად განწყობილ პაკორს, რომელსაც რომაულ გარნიზონებთან კავშირში უფრო ეფექტურად შეეძლო დაეცვა რომის გეოპოლიტიკური ინტერესები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ლაზთა სამეფო არ იყო რომაული პოლიტიკის უსიტყვო გამტარებელი. ის მოქმედებდა საკუთარი ინტერესებითაც. ლაზთა მმართველ წრეებს კარგად ესმოდათ, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიების გაერთიანება შეუძლებელი იყო რომაელთა კეთილგანწყობის გარეშე, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარი მიზნები მოარგონ ანტონინუსთა აღმოსავლური პოლიტიკის პრიორიტეტებს და რომაელებთან ტანდემში მოახდინონ თავიანთი ძირითადი პოლიტიკური მიზნის რეალიზაცია. ლაზთა სამეფო რომ პირველ რიგში საკუთარი ინტერესებით მოქმედებდა, ეს ნათლად გამოჩნდა II ს. მიწურულს, როცა პირველივე ხელსაყრელ სიტუაციაში, ლაზებმა სცადეს რომის გავლენისაგან გათავისუფლება.

ჩვენთვის უცნობია თუ სანამდე გაგრძელდა პაკორის მმართველობა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, მთელი II ს. მეორე ნახევრის მანძილზე ლაზეთის სამეფო აღმავლობის გზაზეა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ხდება ქვეყნის შინაგანი განმტკიცება და გაძლიერება. ამას მოწმობს მოვლენათა შემდგომი განვითარების დინამიკაც. II ს. მიწურულისთვის ლაზთა სამეფო იმდენად ძლიერდება, რომ ის უკვე ცდილობს რომის გავლენისაგან გათავისუფლებას. VIII-IX სს. ბიზანტიელი ავტორის გიორგი სინგელოზის ცნობით: ,,სევერემ გააქცია სპარსელთა მეფე ულიგისსე და დაიმორჩილა ნისიბინი და სხვა ქალაქები, რომლებიც სპარსელებს ჰქონდათ გადაცემული, წინათ კი რომაელებს ეკუთვნოდა. სევერემ დაიმორჩილა ადიაბენები და არაბები, რომლებიც ნიგერთან იბრძოდნენ, მანვე (სევერემ) დაიმორჩილა კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე” (Georg. Syncell., 671, 1-10). გიორგი სინგელოზის მიერ აღწერილი ეს მოვლენები დაკავშირებულია 193-197 წწ. იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის ხანგრძლივ ბრძოლასთან კონკურენტებთან, რომელიც პართიასთან და-პირისპირებაში გადაიზარდა (ფიფია, 2008: 320-325).

სეპტიმიუს სევერუსის დროს აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში, როგორც გიორგი სინგელოზის ცნობიდან ჩანს, ლაზეთის სამეფოც ყოფილა

ჩართული და სევერუსს დასჭირვებია ლაზების იარაღით დამორჩილება, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ უფრო ადრე ლაზები იმპერიას განუდგნენ და გარკვეული დროის მანძილზე არ ემორჩილებოდნენ მას. სამწუხაროდ, სხვა წყაროები (დიონ კასიოსი, ჰეროდიანე, ელიუს სპარტიანე, იულიუს კაპიტოლინუსი), რომლებიც საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერენ ამ სამოქალაქო ომს, არაფერს ამბობენ მასში ლაზების სამეფოს მონაწილეობაზე, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაზების მეფემ ისარგებლა რა იმპერიაში არეულობით, სცადა განთავისუფლებულიყო რომზე დამოკიდებულებისაგან (Ломоури, 1981: 240; Меликишвили, 1951: 379).

აღმავლობის გზაზე მდგარ ლაზების სამეფოს, როგორც ჩანს, უკვე ხელს უშლიდა რომზე დამოკიდებულება, იგი თავს იმდენად მოძლიერებულად თვლიდა, რომ შეეძლო რომის დახმარების გარეშეც შეენარჩუნებინა კონტროლი შემოერთებულ ტერიტორიებზე. ამის გამო, შეიძლება ვი-ფიქროთ, რომ სეპტიმიუს სევერუსის მმართველობისას შექმნილი მდგომარეობა ლაზთა მეფემ ხელსაყრელად მიიჩნია იმისათვის, რათა თავი დაეღწია რომზე დამოკიდებულებისაგან, მაგრამ სევერუსის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა მას ამის საშუალება არ მისცა (Ломоури, 1981: 240).

ლაზეთში იმპერიის პოლიტიკური ძალაუფლების რესტავრაციის შემდეგ, იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი ყოველნაირად ეცდებოდა რეგიონში რომაული საყრდენი პუნქტების გაძლიერებას (ფიფია: 2008, 325-327). მართალია, ამის შესახებ წერილობითი წყაროებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის არქეოლოგიური მონაცემები. არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ II ს. ბოლოს იწყება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის მოდერნიზაციის ახალი ეტაპი, რაც, ჩვენი აზრით, პირდაპირ კავშირშია ზემოაღწერილ მოვლენებთან. სწორედ II ს. მიწურულსა და III ს. დასაწყისში დაიწყეს რომაელებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მასშტაბური ღონისძიებების გატა-რება: პიტიუნტსა და სებასტოპოლისში იწყება ახალი კასტელუმების მშენებლობა; მათ მისადგომებთან აგებულ იქნა საგუშაგო კოშკებიც (თოდუა, 2008: 20-21; ლორთქიფანიძე, 1991: 81-87). პიტიუნტის კასტელუმის ცენტრში აღმოჩენილია II ს. დასასრულიდან და III ს. დასაწყისიდან მოქმედი რამდენიმე ნაგებობა, რომელთა შორის გამოირჩევა მეთაურის რეზიდენცია - პრეტორიუმი, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და სამხედრო ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი შენობები - პრინციპია (ლორთქიფანიძე, 1991: 85). ციხე-ქალაქის გარშემო (ინკიტში, ლიძავაში, ფიჭვნარში) გამოვლენილია რომაული სადარაჯო კოშკები, რომლებიც პიტიუნტის ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემის შემადგენლობაში შედიოდნენ და კასტელუმის მისადგომებს

კეტავდნენ (ფიფია, 2016: 12-16; თოდუა, 2008: 21). სეპტიმიუს სევერუსის მმართველობისას სატალადან პიტიუნტში გადაყვანილ იქნა XV ლეგიონის ცალკეული ნაწილები (Кигурадзе..., 1987: 90-92). ისინი მონაწილეობას იღებდნენ პიტიუნტის კასტელუმის მშენებლობაში, რასაც მოწმობს ციხის ტერიტორიაზე II ს. დასასრულისა და III ს. დასაწყისის ფენებში აღმოჩენილი ლეგიონის დამღიანი აგურ-ფილების ფრაგმენტები. მათზე შემორჩენილია დამღის ნაწილი [LE] G და ლეგიონის ნიშანი XV, რაც იშიფრება როგორც LEG (io) XV (Apollinaris). მკვლევართა აზრით, ბიჭვინთის დამღიანი აგურები XV ლეგიონის ϫარისკაცთა მიერ ადგილზეა დამზადებული (Кигурадзе..., 1987: 88-92; ფიფია, 2016: 13-17).

მართალია, ფასისიდან არქეოლოგიური მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ რომაელთა მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გატარებული საინჟინრო-საფორტიფიკაციო ღონისძიებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გარკვეული სამუშაოები საკუთრივ ფასისის კასტელუმის გასაძლიერებლადაც უნდა ჩატარებულიყო. გარდა ამისა, კოლხეთის ზღვისპირა ციხესიმაგრეების განახლებასთან ერთად, რომაელებს გარკვეული სამხედრო კონტინგენტი ქვეყნის შიდა რაიონებშიც უნდა შეეყვანათ. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს ფასისის მიდამოებში იქმნება გამაგრებათა მთელი სისტემა, რომელშიც ჩართული იყო სოფ. მოედნისა და ვაშნარის საფორტიფიკაციო ნაგებობები (ფიფია, 2008: 328-329). სოფ. მოედნის (ლანჩხუთის რაიონი) ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლეგიონის დამღიანი აგური ბიჭვინთაში აღმოჩენილი აგურ-ფილების ანალოგიურია (თოდუა..., 1997: 108). ბიჭვინთის დამღიანი აგურები კი თითქმის ზუსტად თარიღდება. როგორც აღვნიშნეთ, ისინი II ს. დასასრულისა და III ს. დასაწყისის კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი და სეპტიმიუს სევერუსის მიერ პიტიუნტში შეყვანილი XV ლეგიონის ϫარისკაცების მიერაა დამზადებული (Кигурадзе..., 1987: 88-92). აქედან გამომდინარე, სოფ. მოედნის აგური და შესაბამისად, იქ რომაული სამხედრო ნაწილების გამოჩენაც, სეპტიმიუს სევერუსის დროით უნდა დათარიღდეს. მკვლევართა ნაწილის აზრით, რომაული სამხედრო შენაერთი არქეოპოლისშიც უნდა მდგარიყო (თოდუა..., 1997: 109-111). ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ერთი გარემოება. 1931 წ. აბაშის რაიონის სოფ. სეფიეთში, რომელიც მოქცეულია არქეოპოლის-ნოქალაქევის მიდამოში, აღმოჩენილ იქნა რომაული მონეტების განძი. მასში თავმოყრილია 12 იმპერატორის მიერ მოჭრილი 450 ცალი ვერცხლის მონეტა. ამ განძის ყველაზე ადრინდელი მონეტა ტრაიანეს (98-117 წწ.), ხოლო გვიანდელი ალექსანდრე სევერუსის (222-235 წწ.) ხანაშია მოჭრილი, რაც საშუალებას იძლევა ეს განძი III ს. დასაწყისს, ალექსანდრე სევერუსის ხანას მიეკუთვნოს (მაკალათია, 1944: 217-218).

საინტერესოა, რომ იმავე ზონაში, სენაკის რაიონის სოფ. ეკშიც აღმოჩნდა დიდი რაოდენობით (სულ 907 ცალი) რომაული მონეტები, რომლებიც მოჭრილია სხვადასხვა იმპერატორის სახელით (96-98 წწ.) ნერვადან დაწყებული ალექსანდრე სევერუსის ჩათვლით. ამდენად, ამ განძის ყველაზე გვიანდელი მონეტაც მოჭრილი უნდა იყოს 222 წ. ან მის ახლო ხანებში. ასე რომ, განძი 222 წლის შემდგომ ჩაუფლავთ (დუნდუა..., 1971: 42). რამდენადაც სეფიეთის განძის გვიანდელი მონეტაც მოჭრილია ალექსანდრე სევერუსის სახელით, ე. ი. ეს განძი, ისევე როგორც ეკის განძი, ჩამარხულია 222 წ. ან მის შემდგომ ხანებში (დუნდუა..., 1971: 43-44). განძის პუბლიკატორების აზრით, თარიღების დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს და აშკარად მიგვანიშნებს, რომ ამ განძთა დამარხვა ერთი მიზეზით იყო გამოწვეული. როგორც ჩანს, ამ მიდამოებს ერთსა და იმავე დროს სამხედრო საშიშროება დამუქრებია (დუნდუა..., 1971: 44).

არქეოპოლისის მიდამოებში აღმოჩენილი ეს განძები მრავალმხრივ საყურადღებოა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ხელში ამდენი მონეტა ყოფილიყო თავმოყრილი (შდრ. დუნდუა..., 1971: 44). საერთოდ, ამგვარი მონეტები, როგორც წესი, ჩნდება იქ, სადაც რომაელთა სამხედრო ნაწილები იდგა (თოდუა..., 1997: 111). ასე რომ, როგორც ჩანს, ამ ტერიტორიაზე გარკვეული დროით იდგა რომაული საჯარისო ნაწილები, რომელთაც ალექსანდრე სევერუსის მმართველობის დროს ან მის შემდგომ ახლო ხანებში, რაღაც საშიშროება დამუქრებიათ. ეს ნაწილები კი აქ, ვფიქრობთ, სეპტიმიუს სევერუსის დროს უნდა ყოფილიყო შეყვანილი.

ამდენად, წერილობითი, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასა-ლების შეჯერების საფუძველზე ირკვევა, რომ II ს. მიწურულს იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმა დაიპყრო ლაზეთი და ქვეყანაში რომის პოზიციების გამყარების მიზნით გაამაგრა სანაპიროზე არსებული რომაული კასტელუმები. ამასთან, იმპერატორის ბრძანებით რომის რეგულარული ჯარის ნაწილები ჩააყენეს კოლხეთის შიდა რაიონებშიც (მოედანში, ვაშნარსა და არქეო-პოლისში), სადაც განსხვავებით ზღვისპირა ზოლისაგან, რომაელებს სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები აქამდე არასდროს ქონიათ. როგორც ცნობილია, I-II სს. რომაელთა უშუალო მფლობელობის ქვეშ მოქცეული იყო კოლხეთის მხოლოდ ზღვისპირა ნაწილი, ქვეყნის შიდა რაიონებს კი, ადგილობრივი მმართველების ხელით აკონტროლებდნენ, რომელიც, ალბათ, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. სეპტიმიუს სევერუსის მიერ მოედანში, ვაშნარსა და არქეოპოლისში სამხედრო შენაერთების შეყვანა კი, მთლიანად კოლხეთზე რეალური კონტროლის დამყარების მცდელობას წარმოადგენდა (ფიფია, 2008: 328-330).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სეპტიმიუს სევერუსის ლაზეთში ლაშქრობის პერიპეტიები საინტერესოა სხვა მხრივაც. ზემოთ უკვე ითქვა, რომ II ს. შუა ხანებისათვის ლაზებმა დაიმორჩილეს აფსილების, აბაზგებისა და სანიგების ,,სამეფოები". ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა და ამ ფაქტის დამადასტურებელიც II საუკუნის ბოლოსათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილი პოლიტიკური სურათი - სეპტიმიუს სევერუსი იმორჩილებს ლაზეთს და ამაგრებს მთელ სანაპირო ხაზს - ფასისს, სებასტოპოლისსა და პიტიუნტს, ე. ი. არა უშუალოდ ლაზეთის სატომო გაერთიანების ტერიტორიას, არამედ აფსილ-აბაზგებისა და სანიგების ტერიტორიაზე არსებულ ციხესიმაგრეებსაც. აქედან გამომდინარე, გიორგი სინგელოზის ცნობა ,,კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე'', სრულიადაც არაა შემთხვევითი და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ II ს. მეორე ნახევარში ლაზიკა უკვე თითქმის მთელ კოლხეთს აერთიანებდა.

ამდენად, სეპტიმიუს სევერუსის ლაშქრობის შემდეგ ლაზიკაში რომაული გავლენა გაძლიერდა. ბუნებრივია, ანტირომაული გამოსვლის შემდეგ იმპერიის განწყობა ლაზთა მიმართ გარკვეულწილად შეიცვლებოდა, თუმცა, გამორიცხულად მიგვაჩნია რომის მიერ ლაზთა დასჯის მიზნით ადგილობრივი ცენტრიდანული ძალების წახალისება და კოლხეთის დაშლა კვლავ ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. პირიქით, როგორც ვნახეთ, რომაელებმა კოლხეთში დამატებითი ძალები შეიყვანეს და მთლიანად ქვეყანაზე კონტროლი გაამკაცრეს. შესაბამისად, ლაზთა სამეფო თავის საზღვრებში განაგრძობს არსებობას სეპტიმიუს სევერუსის სადამსჯელო ექსპედიციის შემდეგაც.

სეპტიმიუს სევერუსის ლაშქრობის შემდეგ III ს. შუა ხანებამდე ანტიკური წყაროებში ლაზეთი არსად ფიგურირებს. მაგრამ, იმ პერიოდში რომაულ სამყაროში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სეპტიმიუს სევერუსის მიერ ლაზეთში დამყარებული ,,რომაული წესრიგი" შენარჩუნდებოდა მის მემკვიდრე იმპერატორთა მმართველობის პერიოდშიც. ასე რომ, სევერუსების სამხედრო მონარქიის პირობებში ლაზიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში რადიკალურ ცვლილებებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. თუმცა, ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. სევერუსების მმართველობის შემდგომ, ჯარისკაცთა იმპერატორების ხანაში (235-284 წწ.) რომის იმპერია მწვავე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. იმპერიის შინაგანმა დასუსტებამ თითქმის ყველა საზღვარზე მისი მტრების გააქტიურება გამოიწვია. კრიზისი იმდენად მასშტაბური იყო, რომ რომის სახელმწიფომ რღვევა დაიწყო (ფიფია, 2006: 14-25; Моммзен, 1949:

152-203). კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთის საზღვარზეც. III ს. 20-იან წლებში სუსტი, დეცენტრალიზებული და რომთან კონფრონტაციით დაუძლურებული პართიის სამეფოს ნანგრევებზე ახალი, ძლიერი სასანიდთა სამეფოს წარმოქმნამ საგრძნობლად შეცვალა ძალთა ბალანსი და სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია მახლობელ აღმოსავლეთში. სასანიდთა სამეფომ ფართომასშტაბიანი, პერმანენტული შეტევები დაიწყო საზღვრების მთელ პერიმეტრზე. პირველივე სასანიდი მეფე არდაშირი (226-241 წწ.) 230 წ. უზარმაზარი ლაშქრით შეიჭრა მესოპოტამიაში, სირიასა და მცირე აზიაში. არდაშირის მემკვიდრის შაბურ I-ის (242-272 წწ.) დროს სპარსელთა ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდა (Debevoise, 1938: 268-270; Луконин, 1961: 5-17). 244 წ. მესოპოტამიაში საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა იმპერატორი გორდიანე III (238-244). 252/253 წ. სპარსელებმა დაიპყრეს სომხეთი, რის შემდეგაც შეიჭრნენ სირიაში, კილიკიაში, კაპადოკიასა და მცირე არმენიაში, ხოლო 260 წ. კი ედესასთან მომხდარ ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდეს თვით იმპერატორი ვალერიანე (253-260) (Моммзен, 1949: 375-387; Дьяконов, 1961: 257-263).

იმ ცვლილებებმა, რომლებიც ირანში სასანიდთა ხელისუფლებაში მოსვლამ გამოიწვია, დიდი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ვითარებაზეც და, კერძოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზეც, რომლის ერთი ნაწილიც - მაკრონ-ჰენიოხების ტერიტორია, სპარსეთის მეფის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. ამის შესახებ ჩვენ ვიგებთ ე. წ. ,,ზოროასტრის ქააბის'' წარწერიდან (Sprengling, 1953: 7; Honigmann…, 1953: 3-17; მელიქიშვილი, 1970: 560-561). სპარსელების მიერ მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიაზე შეჭრას ადგილი უნდა ჰქონოდა III ს. შუა წლებში, 254/255 წ. ბარბალისასთან გამარჯვების შემდეგ, როცა სპარსელებმა სასტიკად ააოხრეს სირია, კილიკია, კაპადოკია და მცირე არმენია. ამ ლაშქრობის დროს აღებულ იქნა ქალაქი სატალაც, რომელიც უშუალოდ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს მეზობლად მდებარეობდა. სპარსელთა ამ ძლევამოსილი რეიდის შემდეგ, რომს უნდა ეცნო ირანის დაპყრობათა დიდი ნაწილი და სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო ირანის დამკვიდრება მახელონიაშიც (ლომოური, 1975: 34-35; ფიფია, 2006: 47-49).

მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიაზე სპარსელთა შეჭრით დაირღვა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ძალთა ბალანსი და ბუნებრივია, ეს აისახა ლაზეთზეც. თუ რა ვითარება იყო ამ დროს ლაზეთში, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა მოგვიანებით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წინა პერიოდთან შედარებით განსხვავებული პოლიტიკური სურათი იკვეთება. IV ს. მეორე ნახევრის რომაელი ისტორიკოსის ამიანე მარცელინეს ცნობით, IV ს. 60-იანი წლებისათვის ლაზიკის სამეფოს რომაუ-

ლი სამფლობელოებისაგან მხოლოდ ,,მაღალი მთები'' (ჭანეთის მთები) ყოფდა (Amm. Marc., Res ges., XXVII, 12, 11). ასე რომ, ამიანე მარცელინეს ცნობით, ლაზეთის სამეფოს სამხრეთ საზღვარი იმ დროს დაახლოებით ჭოროხის შესართავის რაიონს აღწევდა (ლომოური, 1968: 67-68; მელიქიშვილი, 1970: 555). ლაზეთის სამხრეთ საზღვრის ჭოროხის შესართავის რაიონამდე გავრცელება შემდგომი ხანის წყაროებითაც დასტურდება. ამდენად, თუ II ს. 30-იან წლებში რომაულ სამფლობელოებსა და ლაზეთის სამეფოს შორის მდებარეობდა ჯერ მაკრონ-ჰენიოხთა, ხოლო შემდეგ იბერიის ქვეშევრდომი ზიდრიტების ტერიტორია, IV ს. 60-იანი წლებისათვის ისინი უკვე აღარ იხსენიებიან. მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორია უშუალოდ რომაული სამფლობელოების ფარგლებშია მოქცეული, მისი ჩრდილოეთით მდებარე ზიდრიტთა ოლქიდან კი იბერია გაძევებულია და ეს ტერიტორია აქეთკენ გაფართოებული ლაზთა სამეფოს საზღვრებშია მოქცეული.

როდის უნდა მომხდარიყო რომისა და ლაზების მიერ ზემოთ დასახელებული ტერიტორიების მიერთება? მკვლევართა აზრით, მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანება დიდხანს არ დარჩენილა სპარსეთის ქვეშევრდომობაში. III ს. 80-იანი წლების დასაწყისში იმპერატორ კარუსის ლაშქრობის შედეგად სპარსეთმა დაკარგა კონტროლი სომხეთზე, ხოლო 298 წ. ნიზიბისის საზავო ხელშეკრულებით ირანმა რომის მფლობელობაში ცნო არმენია და მესოპოტამიის ნაწილი. ცხადია ასეთ სიტუაციაში, III ს. 80-90-იან წწ. ირანი დაკარგავდა მახელონიასაც, რომელიც კვლავ რომაელთა გავლენის სფეროში უნდა მოხვედრილიყო (Ломоури, 1981: 273-274). მაგრამ ამჯერად რომაელებმა, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად არ ჩათვალეს თავიანთი ძველი მოკავშირის დამოუკიდებლობის აღდგენა და ყოფილი მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ტერიტორია უშუალოდ თავიანთ სამფლობელოებს შეუერთეს (Ломоури, 1981: 274; ფიფია, 2006: 69-71). ვფიქრობთ, ამ პერიოდისათვის ანუ III ს. 80-90-იან წწ. ანუ იმ დროს, როცა რომმა განიმტკიცა მდგომარეობა აღმოსავლეთში და დაიბრუნა მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორია, ლაზებს ზიდრიტთა ოლქში უკვე მყარად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ტერიტორიასაც რომი მიიერთებდა. ლაზთა საზღვრების სამხრეთისაკენ გაფართოება უნდა მომხდარიყო რამდენიმე ათეული წლით ადრე, III ს. შუა ხანებში, მაშინ, როდესაც სპარსელებმა დაიკავეს მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორია, რომის პოზიციები რეგიონში შერყეული იყო და შესაბამისად, ,,რომაულ წესრიგზე'' დაფუძნებული ძალთა ბალანსი ლაზებს, იბერიის გავლენის ქვეშ მყოფ ზიდრიტთა ოლქსა და მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს შორის შორის ძირეულად შეიცვალა. როგორც ჩანს, სპარსელების მიერ მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიის დაკავების დროს, იბერიას უნდა დაეცალა ზიდრიტთა ოლქი (Ломоури,

1981: 273-274). მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ, როგორც აღვნიშნეთ, სპარსელებმა აიღეს ქალაქი სატალაც. სატალა პროვინცია კაპადოკია-პონტოს სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი და ლეგიონური ბაზა იყო. ის ითვლებოდა კაპადოკია-პონტოსპირეთსა და სამხრეთ კავკასიაში რომაული სამხედრო ნაწილების ძირითად გამანაწილებელ ბაზად. ამდენად, სატალის დაცემა გარკვეული ხნით რეგიონში განლაგებული რომაული ნაწილების პარალიზებას გამოიწვევდა. ამასთან ერთად, თუ გავითვალიწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამავე ხანებში, III ს. შუა ხანებიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იწყება გერმანელ ,,ბარბაროსთა“ გამანადგურებელი თავდასხმები, მაშინ ცხადია, რომ რომაელთა ბატონობა რეგიონში ფაქტობრივად დაცემული იყო და ლაზთა სამეფოს ეძლეოდა მოქმედების სრული თავისუფლება. ვფიქრობთ, ამით სარგებლობს ლაზების სამეფო და იკავებს იბერიის მიერ დატოვებულ ზიდრიტთა ოლქს. ყოველ შემთხვევაში, მის ამ სურვილს შექმნილ ვითარებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. ამას გარკვეულწილად მოწმობს ის ფაქტიც, რომ III ს. შუა ხანებისათვის ლაზები ყველაზე ორგანიზებული ძალა ჩანს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. როგორც ცნობილია, 255/256 წლიდან კავკასიის სანაპიროზე დაიწყო გერმანულ ტომთა საზღვაო ლაშქრობები. V-VI სს. ავტორის ზოსიმეს ცნობით, 257 წ. შემოდგომაზე ბარბაროსებმა იერიში ქ. ფასისზე მიიტანეს, მაგრამ უშედეგოდ, რის შემდეგაც პიტიუნტისაკენ აიღეს გეზი. გოთებმა სასტიკად დაარბიეს პიტიუნტი. რომაული გარნიზონი მთლიანად ამოწყვიტეს, გაემართნენ სამხრეთისაკენ და ილაშქრეს ტრაპეზუნტის წინააღმდეგ; აიღეს იგი და საშინლად გაძარცვეს (Zosim., Hist. Nova, I, 32-33). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გოთებმა, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ შავი ზღვის მთელ აკვატორიას, ვერ მოახერხეს ფასისის აღება, მაშინ, როცა აიღეს პიტიუნტი, ტრაპეზუნტი, ხოლო 258 წ. გაზაფხულზე, ფასისზე ლაშქრობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ფაქტობრივად ერთმანეთის მიყოლებით გაანადგურეს მცირე აზიის ქალაქები - ქალკედონი, ნიკომედია, ნიკეა, აპამეა და სხვ. (ფიფია, 2006: 36-37). გოთების დამარცხება ფასისთან, პიტიუნტსა და ტრაპეზუნტში მათი წარმატების ფონზე, პირველ რიგში, სწორედ ადგილობრივი სახელმწიფოს - ლაზეთის ძლიერებით უნდა აიხსნას (მელიქიშვილი, 1970: 554; ფიფია, 2006: 38-39; ლომოური, 1968: 42). ლაზების სამეფოს ძლიერების მაჩვენებელია 275 წ. მოვლენებიც. ამ დროს აზოვის ზღვიდან მოეწყო კიდევ ერთი, უკანასკნელი დიდი ექსპედიცია მცირე აზიაში. იმავე ზოსიმეს ცნობით, ბარბაროსები, ძირითადად ჰერულები და ოსტგოთები, ფასისის შესართავთან გადმოვიდნენ და აქედან შავი ზღვის სანაპიროს გავლით შეესივნენ გალატიასა და კილიკიას (Zosim., Hist. Nova, I, 63-64). აღსანიშნა-

ვია, რომ ამ შემთხვევაშიც ფასისთან გადმოსულ გოთებს თვით ამ ადგილებში არაფერი მოუმოქმედიათ და სამხრეთისაკენ, მცირე აზიაში წასულან (ფიფია, 2006: 53-54; Ломоури, 1981: 277). ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ ფასისიდან გოთების უკუქცევა (257 წ. კამპანიის დროს) ლაზთა სამეფოს ძლიერების ზრდის მაჩვენებელია. ამდენად, შექმნილ სიტუაციაში ერთადერთ რეალურ ძალას კავკასიასა და მცირე აზიაში, რომელსაც შეეძლო ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა გოთებისათვის, აღმავლობის გზაზე მდგარი ლაზეთის სამეფო წარმოადგენდა.

დასკვნა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ლაზთა ტერიტორიის გაფართოება სამხრეთისაკენ უნდა მომხდარიყო III ს. 50-იან წლებში. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ადასტურებს X ს. ბიზანტიელი იმპერატორისა და ისტორიკოსის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა, რომლის თანახმადაც რომში დიოკლეტიანეს (284-305) იმპერატორობის დროს, ბოსფორელთა მეფე სავრომატე კრისკონორეს ძემ შეკრიბა მეოტიდის ტბასთან მცხოვრები სარმატები და ილაშქრა რომაელების წინააღმდეგ; მან ჯერ ლაზთა ქვეყანა დაიპყრო, ეომა იქაურ მცხოვრებლებს და შემდეგ მდინარე ჰალისამდეც (აწინდ. ყიზილ-ირმაკი – კ. ფ.) კი მივიდა (Const. Porphyr., De adm. imp., LIII). კონსტანტინე პორფიროგენეტის ეს ცნობა კარგადაა შესწავლილი ისტორიოგრაფიაში და არაერთი მკვლევრის მიერ დადასტურებულია მისი მაღალი სანდოობა. დამტკიცებულია, რომ ეს ცნობა კონსტანტინეს აღებული ჰქონია ხერსონესის ძველი ქრონიკიდან, რომელიც გაგზავნილი ყოფილა იმპერატორისათვის ხერსონესის მმართველის მიერ. ქრონიკის ხასიათი, კერძოდ აღწერის დეტალურობა მიუთითებს, რომ ეს ქრონიკა დაწერილი უნდა იყოს მომხდარი მოვლენების შემდეგ ახლო ხანებში და, ცხადია, ის მაღალხარისხოვან და სანდო წყაროს წარმოადგენს (Шестаков, 1908: 35-36; Харматта, 1967: 205-206). აქ ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ სარმატთა ლაშქრობის აღწერისას ლაზიკის შემდეგ დასახელებულია უშუალოდ რომაული სამფლობელოები და ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე არ იხსენიება არც ერთი სხვა გაერთიანება, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს: ხერსონესის მმართველი იმპერატორისათვის გაგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტში ზუსტად ასახავს იმ პერიოდისათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებულ პოლიტიკურ სურათს. ამდენად, დიოკლეტიანეს მმართველობის დროისათვის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ლაზების გარდა არც ერთი სხვა პოლიტიკური გაერთიანება არ ფიქსირდება.

ამრიგად, II ს. დასაწყისში ფორმირებულმა ლაზთა სამეფომ, რომელიც მოხერხებულად იყენებს რომის ინტერესებს რეგიონში, მოკლე ხანში, II ს. შუა

ხანებისათვის შემოიერთა ჯერ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი, ხოლო მოგვიანებით, III ს. 50-იან წწ. კი, სამხრეთით არსებული ზიდრიტთა ოლქი და ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა ერთიან სახელმწიფოს, რომლის საზღვრები გადაჭიმული იყო ჭოროხის შესართავიდან მდ. აქეუნტამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

დუნდუა (2017): თედო დუნდუა, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები, თბილისი;

დუნდუა, წირღვავა (1971): გიორგი დუნდუა, ვ. წირღვავა, ეკის განძი, „ძეგლის მეგობარი“, 27/28;

თოდუა (2008): თემურ თოდუა, სებასტოპოლისის გამაგრების სისტემა (ახ. წ. I-VI სს.), „ძეგლის მეგობარი“, 4 (111), თბილისი;

თოდუა, მურვანიძე (1997): თემურ თოდუა, ბ. მურვანიძე, რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგური სოფ. მოედნიდან, გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, II, თბილისი;

კეჭაღმაძე (1961): ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ - წიგნი II. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;

ლორთქიფანიძე (1991): გურამ ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ლომოური (1975): ნოდარ ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

ლომოური (1968): ნოდარ ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი;

მაკალათია (1944): სერგი მაკალათია, სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B, Tb.;

მელიქიშვილი (1970): გიორგი მელიქიშვილი, საქართველო ახ. წ. I-III საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

მუსხელიშვილი (1977): დავით მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“;

მუსხელიშვილი (2003): დავით მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი. გამომცემლობა „მემატიანე“;

ფიფია (2001): კახაბერ ფიფია, მაკრონ-ჰენიოხების ,,სამეფო“ - რომის მოკავშირე აღმოსავლეთში, „საისტორიო ძიებანი“, IV, თბილისი;
ფიფია (2002): კახაბერ ფიფია, ანტონინუს პიუსის მიერ ლაზებისათვის ,,მეფის“ დანიშვნის დროის საკითხისათვის, „საისტორიო ძიებანი“, V, თბილისი;
ფიფია (2005): კახაბერ ფიფია, რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. (პოლიტიკური ურთიერთობები), თბილისი;
ფიფია (2006): კახაბერ ფიფია, რომაული სამყაროს კრიზისი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ახ. წ. III ს.), თბილისი;
ფიფია (2008): კახაბერ ფიფია, იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი და ლაზეთის სამეფო, „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, X, თბილისი;
ფიფია (2012): კახაბერ ფიფია, რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული ,,სამეფოების“ წარმოქმნა კოლხეთში (ახ. წ. II ს.), თბილისი;
ფიფია (2016): კახაბერ ფიფია, პიტიუნტი რომის სასაზღვრო-თავდაცვით სისტემაში (ახ. წ. II-IV სს.), აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ჰუმანიტ. მეცნიერებათა სერია, ტ. 4-5, თბილისი;
წერეთელი (1942): გიორგი წერეთელი, არმაზის ბილინგვა, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, თბილისი;
Виноградов (2013): Виноградов Андрей Юрьевич, Кувшин царя Бакура – новый источник по ранней истории Кавказа, ინტერდისციპლინარული არ-ქეოლოგია, II, თბილისი;
Дьяконов (1961): Дьяконов Михаил Михайлович, Очерк истории древнего Ирана, Москва;
Кигурадзе (1987): Нино Кигурадзе Шалвовна, Гурам Лордкипанидзе, Темур Тодуа, Клейма XV легиона из Пицундского городища, Вестник древней истории, 1987, №2; Москва;
Ломоури (1997): Нодар Ломоури Юлонович, Абхазия в античную и раннесредневековую эпохи, Тбилиси;
Ломоури (1981): Нодар Ломоури Юлонович, Грузино-римские взаимоотношения, Тбилиси;
Луконин (1961): Владимир Луконин Григорьевич, Иран в эпоху первых Сасанидов, Ленинград;
Меликишвили (1959): Георгий Меликишвили Александрович, К истории древней Грузии, Тбилиси;
Моммзен (1949): Теодор Моммзен, История Рима, V, Москва;
Шестаков (1908): Сергей Шестаков Петрович, По поводу новейших трудов по истории и топографии Херсонеса Таврического, Казань;

Харматта (1967): Янош Харматта, К истории Херсонеса Таврического и Боспора, Античное общество, Труды конференции по изучению проблем Античности, Москва;

Debevoise (1938): Debevoise Neilson Carel, A Political History of Parthia, Chicago – Illinois;

Sprengling (1953): Martin Sprengling, Third Century Iran, Sapor and Kartir, Chicago;

Speidel (1988): Speidel Michael Paul, Temur Todua, Three inscriptions from Pityus on the Caucasus frontier, Saalburg Jahrbuch, 44;

Honigmann (1953): Honigmann Ernest et Maricq André, Recherches sur les Res gestae divi Saporis, Bruxelles.